სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 69

ქ. თბილისი 20 ივნისი 2022 წელი.

ერთი მხრივ, ხობის მუნიციპალიტეტის მერია (ს/კ:244688600; შემდგომში – „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მერის დავით ბუკიას სახით და მეორე მხრივ, შპს ,,პენსან ჯორჯია“(ს/კ:404870760 შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორი გიგა გობიანიძის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე N2007 (17.06.2022წ.) განკარულების საფუძველზე, (SMP220001745) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი. (CPV – 30197630)

1.2. შესყიდვის ობიექტია 283 (ორას ოთხმოცდასამი) შეკვრა A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა.

1.3. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

1.4. საქონლის დეტალური აღწერა, ტექნიკური მახასიათებლები განსაზღვრულია დანართი N1-ით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა **3962.00** (სამი ათას ცხრაას სამოცდაორი). ლარი. (დღგ-ს ჩათვლით)

2.2. ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს 14 (თოთხმეტი ლარი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების 2.1 პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადი.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი შესაბამისობაში იქნება

ხელშეკრულებასთან.

3.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა.

3.3. საბეჭდი ქაღალდის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა.

3.4. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტების მიწოდების ადგილია ქ. ქუთაისი. ნიკეას II ჩიხი N1.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 4.1. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან: ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში., ხოლო მიმწოდებლის მხრიდან დირექტორი: გიგა გობიანიძე.

5. ანგარიშწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება შემსყიდველის მხრიდან მოხდება მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

5.2. დაფინანსების წყარო: 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი-.

5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

5.3.1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

5.3.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

5.3.3. მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1. მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობისა და ხარისხის მქონე საქონელი; იმ შემთხვევაში თუ ერთჯერადად მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა ნაკლებია 25 შეკვრაზე, მიმწოდებელი არ არის ვალდებული საბეჭდი ქაღალდი მიაწოდოს საკუთარი ხარჯებით.

6.1.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6.1.3. პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან და დანართი N1 -ით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებთან;

6.1.4. ქაღალდის მიწოდება განახორციელოს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნიდან, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა;

6.1.5. უზრუნველყოს შემსყიდველისათვის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიწოდება;

6.1.6. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წამოჭრილ გაუთვალისწინებელ ხელშემშლელ გარემოებებთან დაკავშირებით, დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია:

6.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3.2. მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

6.3.3. უზრუნველყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიღება;

6.3.4. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2% ოდენობით.

8.2. აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის გამოსწორებისათვის ან/და შეცვლისათვის მიმწოდებელმა თუ გადააცილა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულების შესრულების საერთო ვადას, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 % ოდენობით.

7.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% ოდენობით.

7.4. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისთვის, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს (ხოლო ასეთი, მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს) პირგასამტეხლო - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2% - ის ოდენობით.

7.5. სანქციების დაწესება და გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს -2022 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით და აღნიშნული უშუალო ზემოქმედებას ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და

შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებულ უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1. კონტროლის განმახორციელებელი კომისია ან საამისოდ უფლებამოსილი პირი, უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

11.2. კონტროლისას ხილვადი დეფექტის, ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, კონტროლის განმახორციელებელმა კომისიამ ან საამისოდ უფლებამოსილმა პირმა უნდა შეადგინოს შემოწმების აქტი.

11.3. ვიზუალური დათვალიერების დროს, ხილვადი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, კომისია ან საამისოდ უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი დეფექტის, ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს ნაკლის, დეფექტის გამოსწორება ან შეცვლა.

11.4. აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა.

11.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილების შეტანა

12.1. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება:

12.1.1. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

12.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძველზე.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. კონფიდენციალურობა

14.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.

14.2. ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ხობის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი: 244688600;
მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. 189
ტელეფონი :599856082
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი.
ბანკის კოდი:BNLNGE22;
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

მერი: დავით ბუკია

„მიმწოდებელი"

შპს „პენსან ჯორჯია"
მის: ქ თბილისი თამარ მეფის გამზ #18
ს/კ 404870760
ბანკი: პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE98PC0113600100027886
ტელ:558423322
593450200
Email:Pensan.georgia@gmail.com

დირექტორი: გიგა გობიანიძე

დანართი N1

პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები

1	ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი)	Ballet Universal
2	მწარმოებელი ქვეყანა	რუსეთი
3	გრამაჟი (გრ/მ2)	80
4	სიკაშკაშე (%)	105
5	გაუმჭვირვალობა (%)	92
6	სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით –%)	150
7	შეკვრაში ფურცლების რაოდენობა	500

ქაღალდი განკუთვნილია ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლ გადამღები აპარატებისათვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის

„შემსყიდველი"

ხობის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი: 244688600;
მისამართი: ქ. ხობი. ცოტნე დადიანის ქ. 189
ტელეფონი :599856082
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ეროვნული ბანკი.
ბანკის კოდი:BNLNGE22;
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

მერი: დავით ბუკია

„მიმწოდებელი"

შპს „პენსან ჯორჯია"
მის: ქ თბილისი თამარ მეფის გამზ #18
ს/კ 404870760
ბანკი: პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ა: GE98PC0113600100027886
ტელ558423322
593450200
Email:Pensan.georgia@gmail.com

დირექტორი: გიგა გობიანიძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვაში მონაწილე მიმწოდებელთან შპს „პენსან ჯორჯია“-სთან არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი.

ხობის მუნიციპალიტეტის მერი: დ. ბუკია

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში:

ლ. ბუკია

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

KA080106390527022

№ 2007

17 / ივნისი / 2022 წ.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 15 ივნისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის SMP220001745 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის (CPV - 30100000 - საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა) შესყიდვას, ღირებულებით 3962 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში იწურება A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის მარაგი, რომლის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში CON210000621 გამარჯვებულმა კომპანიამ უარი განაცხადა ორგანიზაციისთვის საქონლის მიწოდებაზე მარაგის ამოწურვის გამო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ არ შეფერხდეს ორგანიზაციის ფუნქციონირება, აუცილებელია, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო რაოდენობის A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

რომლის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში CON210000621 გამარჯვებულმა კომპანიამ უარი განაცხადა ორგანიზაციისთვის საქონლის მიწოდებაზე მარაგის ამოწურვის გამო. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ არ შეფერხდეს ორგანიზაციის ფუნქციონირება, აუცილებელია, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო რაოდენობის A4 ფორმატის პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნეს შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის SMP220001745 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე